საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/32

22 აგვისტო 2011 წ. ქ. ბათუმი

2011-2012 სასწავლო წლისათვის რსუ-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-5 მუხლის მე-8 - მე-11 პუნქტების, 29-32 მუხლების, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 ივლისის №83 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2011 წლის 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35; მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახური; ოთახი №47, ტელ.: 27 64 57; მობ.: 577 42 71 30.

2. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (სპეციალური ფორმა);
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი;
დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (და დანართის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);
ზ) მაგისტრანტობის კანდიდატის ანკეტა (დანართი 2).

3. მისაღები გამოცდები ჩატარდეს რსუ-ის ბიბლიოთეკაში შემდეგ მისამართზე: ბათუმი, ნინოშვილის 35.

ა) მისაღები გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს 2011 წლის 29 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი; II ცვლა - 13^{00} საათი)

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2011 წლის 30 სექტემბერი - 02 ოქტომბერს რსუ-ის კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2011 წლის 03 ოქტომბერს.

ბ) მისაღები გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2011 წლის 05 ოქტომბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 13^{00} საათი).

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2011 წლის 06 - 08 ოქტომბერს რსუ-ის კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2011 წლის 09 ოქტომბერს.

გ) რანჟირების დოკუმენტი გამოქვეყნდეს 2011 წლის 10 ოქტომბერს;

4. გამოცდებზე დასასწრებად კონკურსანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

5. დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

6. 2011 წლის 10 ოქტომბერს ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამისი ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, რის საფუძველზეც გამოიცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი მაგისტრანტობის კანდიდატების შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

7. მეცადინეობა მაგისტრატურაში დაიწყოს 2011 წლის 11 ოქტომბერს.

8. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტებზე და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რის უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ა. ბაკურიძე

,,მომზადებულია''

მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის

სამსახურის უფროსი: ხ. დიასამიძე

,,შეთანხმებულია''

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: მ. ხალვაში

სასწავლო დეპარტამენტის უფროსი: მ. მიქელაძე

იურიდიული დეპარტამენტის

მთავარი სპეციალისტის მ/შ: გ. დიასამიძე